ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2577732

ნომერი: AR1400762

თარიღი : 27.04.2016

გაცემის თარიღი : 05.05.2016

გაცნობის თარიღი : 12.05.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 29 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა კალანდაძე პ/ნ 01005007496
- თბილისი ლ.პასტერის ქ. N 5

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1400762 განაცხადის პასუხად, რომლითაც ითხოვთ #2293377 19/11/2015 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება მიწის ნაკვეთის საზღვრების ცვლილების გამო, გაცნობებთ რომ №2293377 ბრძანებით თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22.03.2011წ. #339 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში განხორციელდა ცვლილება და დაემატა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.17.11.005.001 ფართობი 3675 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882015265704, რეგისტრაციის თარიღი 15.05.15წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი N 882015560740, რეგისტრაციის თარიღი 06/10/2015); დღევანდელი მდგომარეობით საკადასტრო გეგმა არ არის განახლებული, გამომდინარე აქედან სამსახური ამ ეტაპზე თქვენს მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს (განახლებული საკადასტრო გემის მონიშვნა შესაძლებელია ამავე განაცხადზე რუკის ცვლილების უფლების ველში); ამასთან შესწორებული უნდა იქნეს რეკვიზიტები, კერძოდ დადგენილი გაპის ბრძანების ნომრად მითითებული უნდა იქნეს #339, ხოლო თარიღი 22.03.2011წ.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge